# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 20-81

„4" აგვისტო 2015 წ

ქ. თბილისი

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099) და დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა, ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ალიბეგაშვილი


ფუნქციური ზონები
ლეგენდა
1:30,000

# განმარტებითი ბარათი

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით**

1. გადაწყვეტილების მიღების მიზეზია ის ფაქტი, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისდამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის№20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის ტექნიკური) ცვლილებების შეტანის საკითხი. ქვემოთჩამოთვლილი ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხები (5 წინადადება) განხილულია და რეკომენდირებულია "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს" მიერ.

2. გადაწყვეტილების მიღების მიზანია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება და მისი შემდგომი სრულყოფა.

3. გადაწყვეტილების ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:

წარმოდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში მოხდება დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე – რუკაზე არსებული ფუნქციური ზონების ცვლილება 5 ერთეულ შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით:

**1. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა–ფშაველას გამზირის #29ა–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.10.15.007.003), (1794 და 662 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სპეციალური ზონა 1-ს, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-სა და სატრანსპორტო ზონა 1–ს შორის.**

სპეციალური ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (2008 კვ.მ.) და სატრანსპორტო ზონა 1–ით (449 კვ.მ.) ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების

გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №30), მოქ. ნ. ხოსრუაშვილი. AR1319916.

**2. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხერთვისისა და წერონისის ქუჩის გადაკვეთაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.12.14.069.001), მიმდებარედ ლეგალიზების მიზნით, (21 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური ზოგად საცხოვრებელ ზონასა და სატრანსპორტო ზონა 1–ს შორის.**

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება ზოგად საცხოვრებელი ზონით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №30), მოქ. ხ. არეშიძე. AR1313773.

**3. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #81.08.29.947), (274 და 57 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 2–სა და სატრანსპორტო ზონა 1–ს შორის.**

საცხოვრებელი ზონა 2 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (274 კვ.მ.), სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 2 (57 კვ.მ.)("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №30), მოქ. შ. სულხანიშვილი. AR1318029.

**4. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, კუს ტბის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.13.013.001), არსებული ნაგებობის არსებულ გაბარიტებში რეკონსტრუქციის და ღია სეზონური კაფის მოწყობის მიზნით, (1498 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა დასარეკრეაციო ზონა 2–ს შორის.**

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება სარეკრეაციო ზონა 2-ით("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №30), მოქ. ი. შატბერაშვილი. AR1313382.

**5. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, მიცკევიჩის ქ. #14–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.10.14.019.003),(102 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 6–სა და სატრანსპორტო ზონა 1–ს შორის.**

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №30), მოქ. ლ. სომხიშვილი. AR1317470.